დანართი № 1

სპეციალური პირობები:

პროცედურაში გამარჯვებული კომპანია იღებს ვალდებულებას მოახდინოს შ.პ.ს „ვიმ–ბილ–დან საქართველო“-ს (სკ: 204546553) თანამშრომლების ტრანსპორტირება შემდეგი მიმართულებით:

კრიტერიუმები:
მიმართულება ფონიჭალა, შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველოს“ ქარხნის ტერიტორიიდან რუსთავისა და თბილისის მიმართულებით (ისანი, სამგორი, ვარკეთილი, საბურთალო, სოფ. კრწანისი, გიგანტის დასახლება, აეროპორტი, დიდუბე, სანზონა);
გამოძახება:
ტაქსის გამოძახება მოხდება კონკრეტულ ნომერზე დარეკვით, შესაბამისი მგზავრობის დროისა და მიმართულების მითითებით;
მომსახურების პერიოდი
ორშაბათი-კვირა, დღე-ღამის განმავლობაში 10-11 ავტომობილით მომსახურება (ძირითადად ღამის საათებში, ცვლებში მომუშავე თანამშრომლებისთვის);
ტარიფები: კომპანიის ტაქსის მომსახურების ერთიანი ტარიფი 1 კილომეტრზე გაანგარიშებით, დღგ-ს ჩათვლით/დეტალურად ჩაშლილი მომსახურების ტარიფი (კომპონენტებით)
ტაქსები უნდა იყოს აღჭურვილი ტაქსომეტრით; კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მომსახურების შესაბამისი ბეჭდური ქვითრის ან ელექტრონულად ანალოგიური ინფორმაციის მოწოდება
ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

- მგზავრობის დაწყებისა და დასრულების დრო,
- თარიღი,
- განვლილი მანძილი (კმ)
- მანქანის ნომერი/ინფორმაცია მძღოლზე
- თანხა
- მძღოლის სახელი/გვარი

აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი ან ელექტრონული სახით (რეპორტი) ან ასახული მგზავრობის დამადასტურებელ დოკუმენტზე-ტაქსის ქვითარზე;

ანგარისშწორების პირობები -ანგარიშსწორება მოხდება ყოველი თვის 5 რიცხვამდე, შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და დეტალური ინვოისის/რეპორტის მიღებიდან 5 სამუშაო დღეში;
დამატებითი პირობები:
ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ტაქსოპარკის ავტომობილები უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, კანონით დადგენილ ტექნიკურ ნორმებსა და კრიტერიუმებს და მძღოლი უნდა ფლობდეს მუშაობის სათანადო ლიცენზიას;